რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

ბიუჯეტი:

სულ:	USD 6,200,000
ADA:	USD 1,650,000
SDC:	USD 4,450,000
UNDP:	USD 100,000

ხანგრძლივობა: 2012 –2017

ადგილობრივი პარტნიორი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

გეოგრაფიული არეალი:

ეროვნული დონის პოლიტიკის ხელშეწყობა 4+2 სამიზნე რეგიონი (ქვემო ქართლი, სამეგრელო, რაჭა, გურია + იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი)

წინაპირობა:

საქართველოში დეცენტრალიზაციის დონე დაბალია. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია და რესურსები რათა სრულყოფილად შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები. რეგიონული და ადგილობრივი განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების ინსტრუმენტები არ არის სათანადოდ განვითარებული.

ავსტრიული განვითარების სააგენტოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელშეწყობით გაეროს განვითარების პროგრამა მუშაობს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობაზე ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციების უნარების გაძლიერებით.

რას ვაკეთებთ:

- ჩვენ ვაძლიერებთ ეროვნულ სისტემებს რათა ხელი შევუწყოთ რეფორმებს რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობაში
- ჩვენ ხელს ვუწყობთ რეგიონულ და ადგილობრივ სისტემებს ჩართულობის გზით განვითარებაში
- ჩვენ მხარს ვუჭერთ რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების უნარების სისტემატიურ განვითარებას

Austrian Development Cooperation

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

2014 წლის პროგრესი:

პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება

- 2014 წელს მიღებულ იქნა ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება მუნიციპალიტეტების ქონების მართვის შესახებ
- 2013 წლის მდგომარეობით(ფაქტიური შესრულება), ტერიტორიული ერთეულების ჯამური ბიუჯეტის წილი ნაერთ ბიუჯეტში შეადგენს 18.9%-ს, ხოლო თბილისის და ავტონომიური რესპუბლიკების გამორიცხვით 9.3%-ს
- გაიზარდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საპარლამენტო კომიტეტის თანამშრომლების ცოდნა და შესაძლებლობები

რეგიონული და ადგილობრივი განვითარება

- შეიქმნა 6 რეგიონის განვითარების სტრატეგია ადგილობრივ დონეზე
- შეიქმნა 6 რეგიონის სამოქმედო გეგმა ადგილობრივ დონეზე
- მომზადდა რეგიონული განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო წესები

ტრენინგის სისტემა

- ტრენინგის კონცეფცია დამტკიცდა მთავრობის მიერ და წარედგინა დონორ ორგანიზაციებს
- ჩატარდა 92 ტრენინგი 33 პრიორიტეტულ სფეროში, 1,695 საჯარო მოხელისთვის (მ- 1,091; ქ- 604)
- ყველა მუნიციპალიტეტს კანონით დაეკისრა ვალდებულება, რომ უზრუნველყონ სახელფასო ფონდის სულ მცირე 1%-ის უნარების განვითარების მიზნით გამოყოფა
- შემუშავდა და დამტკიცდა ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის და ტრენინგის პროცედურული სახელმძღვანელოები

მომავალი გეგმები

პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება

- 2014 წლის თვითმმართველობის კოდექსის სრული და ეფექტური იმპლემენტაცია
- დამატებითი კომპეტენციებისა და რესურსების დეცენტრალიზაცია თვითმმართველობებზე
- ეფექტური კოორდინაციის მექანიზმების მართვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ
- საკანონმდებლო ორგანოების და ადგილობრივი ადმინისტრაციების ასოციაციების მაღალი ჩართულობა რეფორმის განხორციელების პროცესში

რეგიონული და ადგილობრივი განვითარება

- მთიანი ტერიტორიების ეროვნული კანონის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღება
- მუნიციპალური განვითარების გეგმები შერჩეულ მუნიციპალიტეტებში
- რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მცირე გრანტების სქემის განხორციელება საქართველოს შერჩეულ რეგიონებში

ტრენინგის სისტემა

- ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელშეწყობისთვის ქმედითი ტრენინგ სისტემის შექმნა
- მუნიციპალიტეტების ფუნქციური კვლევა და ტრენინგ საჭიროებების შეფასება
- ტრენინგ სამიზნე - 4000 კაც/დღიანი მიზნობრივი ტრენინგის ჩატარება, სულ მცირე 1,500 ადგილობრივი თანამშრომლისთვის
- გამჭვირვალე სარეგისტრაციო სისტემის შექმნა ტრენინგისა და სხვა შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და შედეგებისთვის

RLD საკონტაქტო პირი:
მაია ბიბილეიშვილი
(maia.bibileishvili@undp.org)

Austrian Development Cooperation

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UNDP
Empowered lives. Resilient nations.